№ 42. 23 ოქტომბერი (5 ნოემბერი) 1870 23 ოქტომბერი (5 ნოემბერი) № 42.

გაზეთის ფასი

| ...ისში და გა...ლებში: გაგზავნით | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ...წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

...ქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ...სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე... ...ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ...ზე 1/2 კაპ.

...როება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

...რიგებული ...ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს იმ ხელის—მომწერლებს, ...ომელთაც ჯერაც არ შემოუტანიათ ამ წლის გაზეთის ფული, რაც შეი...ძლება მალე გამოგზავნონ.

---

მომავალ—1871—წელს „დროება“ გამოვა. პროგრამმაზედ და ...ანამშრომელებზე დაწვრილებითი განცხადება შემდეგში იქ...ნება დაბეჭდილი.

შინაარსი

...ართველო („დროების“ კორრესპონდენციები: ...იდამ,—ქართლიდამ,—ახალციხიდამ და—ზუგ...დიდამ).—რუსეთი (წვრილი ამბები).—ომის ამ...—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია,—...სია,—ამერიკის შეერთებული შტატები,—იტა...—ნარევი.—
...ელტონი—„ჩემ მკითხველს“—ნ. სკანდელისა.

# საქართველო

### ქუთაისიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

...თი შესანიშნავი სანახავი ვნახეთ აქაუ... ...ა წუხელ საღამოს (13-ოქტომბერს): ჩრდი...ეთისაკენ საღამოს შვიდ საათზე რაღაც ...თლე გამოჩნდა წითლათ, თითქოს სადმე ტყეს ცეცხლი ეკიდებაო. რადგანც ქარები იყო აქეთ წინადღეებში, იმას დააბრალეს ცეცხლის გაჩენა. მართალი გითხრათ, პირველათ ვერც მე გავიგე ნამდვილი მიზეზი ამ მოვლენისა, სანამ ამ წითლათ ნათელში ალაგ-ალაგ თეთრ-ყვითლათ მნათობი სვეტები არ დავინახე. როგორც შევნიშნე, შვიდი საათიდგან ვიდრე ათამდი, სინათლე თან და თან მატულობდა და თან დასავლეთისაკენ გადადიოდა. როდესაც ეს სინათლე ადგილის გამოცვლას დააპირებდა, გამოსაცვლელ ადგილზე ჯერ სვეტები გამოჩნდებოდა, მერმე კი ერთბაშათ გაწითლდებოდა.

ეს შესანიშნავი მოვლენა თითქმის შუაღამემდი გაგრძელდა. ისეთი დიდი ადგილი ეჭირა იმას და ისე მაღლა მოჩანდა, რომ, უეჭველია, თქვენც დაინახავდით. უეჭველია აგრეთვე, რომ ეს მოვლენა იყო „ჩრდილოეთის ბრწყინვა“ (сѣверное сіяніе); მაგრამ მე მაკვირვებს წითელი ფერი ამ ბრწყინვისა და ამდენ ხანს გაგრძელება. მე მახსოვს პეტერბურღში, რომ იქაური „ბრწყინვები“ თეთრათ-მოყვითალო ფერის არიან და არც ამდენ ხანს გრძელდებიან ხოლმე.

უნდა გაგეგონათ, რასებს ლაპარაკობდენ აქაურები ამ ელექტრიულ მოვლინებაზე: მოხუცებულები, რომელთაც თავის დღეში არ უნახავთ აქ ამის მსგავსი რამე, არწმუნებდენ ყოველ კაცს, რომ წარღვნის ნიშანი არისო; პოლიტიკები (ომიანობამ ბევრი პოლიტიკები გააჩინა ჩვენში) ამტკიცებდენ, რომ პარიჟი დაწვეს ნემცებმა და იმის ცეცხლი ზეცას მოსდებიაო; ზოგის ფანტაზიამ ასე შორს ვერ გასჭრა: ისინი ამბობდენ, ლეჩხუმს მოჰკიდებია ცეცხლიო; ზოგი კი ვინ იცის, რას ამბობდა.

დადგა თუ არა აქ ეს თვე, დაიწყო საშინელი ქარები, სამი დღის განმავლობაში გაუწყვეტლათ ჰქროდა აღმოსავლეთის ქარი. ცეცხლი კი, ღვთის მადლით, არ გაჩენილა არც ქალაქში და არც სხვაგან სოფლებში და ტყეებში. როგორც ქარი შესწყდებოდა, წვიმა დაიწყებდა. ასე იყო 12 ოქტომბრამდი; ახლა კი კარგი ტაროსები დადგა.

ხოლერი ჯერაც ვერ მოვიშორეთ ჩვენ სრულიად თავიდამ: კვირაში რამდენიმე კაცი ახლაც მიაქვს ხოლმე მსხვერპლათ. ამ ჟამად სოფ. ძახიანურში (ქუთაისზე ათ ვერსზე) დგანან სალდათები ბანაკათ, მგონი რკინის გზის საკეთებლათ და, როგორც ამბობენ, იმათში ხშირია ხოლერაო: პანტა სხალსა და ზედ წყალს სმენ თურმე და ამიტომ უფრო ხშირათ ხდებიან ავათა.

ქუთაისი, 14 ოქტომბერს. ი.—ი.

---

### ქართლიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ორს აგვისტოს სოფელს ქემერტში საშინელი სეტყვა იყო და ისე წაახდინა ვენახები, რომ ამ სამ წელს სრულებით აღარა აქვსთ იმედი ვენახის მეპატრონეებს, რომ ვაზი კიდევ თავის წინანდელ მდგომარეობაში მოიყვანონ. სეტყვის შემდეგ ამოვარდა საშინელი დიდი ქარი და, რაც სეტყვას ხეებზე ნაყოფები გადაურჩა, ქარმა სულ ერთიანათ გააყრევინა. ამას გარდა ზოგ-ზოგ გლეხს კიდევა ჰქონდათ მინდვრათ მოუმკალი ყანები და ამ სეტყვამ ისე ჩაფშვნიტა შიგ თავთავი, რომ გლეხებმა უთავთავო ყანები გათიბეს, საქონლის საჭმელათ მაინც გამოგვადგებაო. შესანიშნავია, რომ ასე გაფუჭებული ხეხილები აგვისტოს გასულს ხელმეორეთ აყვავდნენ, მაგალითად ტყემლები, ქლიავები და დამასხები; ასე გაშინჯეთ, კაკლებმაც კი გამოიღეს მჭადა. სწორეთ, რომ გენახათ, მარტისა და აპრილის თვეები გვეგონებოდათ და გაზაფხულის სურათი წარმოგვიდგებოდათ. ამ დროს უცხო სოფლიდგან ჩემთან მოსულმა სტუმარმა მითხრა, რომ ჩვენში ხილი კიდეც მოილია და თქვენში ჯერ ეხლა ჰყვავიანო.

---

# ფელტონი

### ჩემ მკითხველს

...მ უკანასკნელ დრომდი, მე ჩემი თავი ბე...ერ კაცად მიმაჩნდა: ვიჯექი ჩემთვის „დრო...ს“ პაწაწინა კუნჭულში, საიდანაც მთელ ...ყანას უდარდელათ დავცქეროდი და ხან-...ხან—თვეში ერთხელ, ორჯერ—ჩემ უ...ტდელობას ფელტონათ გამოვთქვამდი. მა...ლია, ქვეყანა მე ყურადღებას არ მაქცევ...ს, იმან, მგონია, არც კი იცოდა, თუ „დრო...ს“ დაბლა ეტაჟში ვიღაცა ფელტონისტი ...ღაცა ფელტონებს „სჯღაბნიდა“; მაგრამ ეს ...რემოება მე ნამეტნად როდი მაწუხებდა. —ქვეყანა ბრმა და უგნურია, ამბობს ლეინე, ...ობდი მე:—ის შეურაცხყოფით დაცქერის ...ტონისტის შრომას და მდგომარეობას; იმას ...ტონი „მასხრობათ“ მიაჩნია და მისი დამ...—ჯამბაზის მოლაყბეთ. მიუტევოთ ამ სა...ლო ქვეყანას, რადგანც იმან არ უწყის, რას ...ქმობს!...

+

...მართლაც, წლევანდელი შემთხვევაები თი...განგებ ჩემი ნუგეშის საცემლათ და ...ტონისტების ასამაღლებლათ ხდებოდნენ: ...ერთი ფელტონისტი—როშფორი—პა...ნმდებელი კრების წევრათ ამოარჩიეს, და ...მ მდგომარეობამ და ყოფა-ქცევამ მთე... ქვეყნის ყურადღება მიიქცია.—მერმე ის... როშფორი მმართებლობის წევრათ შეიქ...და ღენერალ ტროშუს გვერდში ამოუჯდა, როგორც მეორე ფელტონისტი—არაგო, და უხეირო ვოდვილების მწერავი ჟულ-ფავრი და გლე-ბიზუანი. მოდი და ნუ აგაამაყებს შენ ამ ნაირი შემთხვევა!

+

მართალია, ერთის მხრით, რომ ეს შემთხვევა შორს ქვეყანას, საფრანგეთში, მოხდა. მართალია, მეორეს მხრით, რომ ფელტონისტები ყოველთვის კი ვერ ხდებიან „დროებითი მმართებლობის; წევრებათ და იგივე როშფორი—მაგალითად—ბარე შვიდი თვე იჯდა ვირების აბანოში“ (როგორც ჩვენში ამბობენ) სანამ მის წინ სამინისტრო რჩევის კარები გაიღო...

მაგრამ, ვაიმედებდი მე ჩემ თავს, ჩვენშიაც მომხდარა ხოლმე ფელტონისტების ამაღლების მაგალითები. ერთი ვოდვილის მწერავი პრისტავის ადგილს ეღირსა, და მეორე—გვარიანი ხანი კვარტლის თანაშემწეთ იყო. და რაკი ზოგიერთ სხვა ფელტონისტებს (რომელთაც ფელტონების წერაც ვერ მოახერხეს) „ოხუნჯობამ“ ქვეყანაში წინ წასწევა არ დაუშალა, რატომ მეც არ უნდა მქონდეს ამაღლების იმედი?

+

ამ იმედს—როგორც წელან ვთქვი—წმინდა ნეტარებაში ვყავდი. მაგრამ ტყუილათ კი არ ყოფილა ნათქვამი, ნეტარება ერთი წუთის საქმეა და დიდხანს ვერ გაძლებსო: სწორეთ იმ დროს, როცა მე ჩემი თავი ბედნიერ კაცათ მიმაჩნდა და მარტო იმაზე ვწუხდი, რომ ქვეყანა ყურადღებას არ მაქცევს მეთქი, ჩემდა საუბედუროთ თურმე ჩემ ფელტონებზე, თუ მთელ ქვეყანას არა, ზოგიერთ ჩვენებურ მკითხველებს მაინც ყურადღება მიუქცევიათ.

მაგრამ ვაი ამისთანა მიქცევას!....

+

დიახ, ვაი ამისთანა ყურადღების მიქცევას, როცა ყველა მხრიდან გესმის:—„ღმერთო, ეს რანაირი ენაა!“—„ამგვარი წერა აბა ვის გაუგონია?“—„ვანა უწინ ჩვენ ფელტონისტები არ გვყოლია? დახეთეთ მათ ნამდვილ ქართულ ენას! ფელტონი იმ ენით უნდა იწერებოდეს, როგორითაც მოლაყბე, ნავხედი და „საქართველოს მოამბის“ მწერლები სწერდენ!..“

+

ამ ნაირი გაჰკიცხვა მოისმის ყველა მხრიდან, სხვა და სხვა კილოზე, სხვა და სხვა დამატებაებით, მაგრამ ერთ და იმავე აზრით: „ამ ფელტონების კითხვა არა ღირს, ამიტომ რომ იმათ ენა არ უვარგათ, ‚ნამდვილი‘ ქართული ენით დაწერილი არ არიან.“

+

აი, ამ გარემოებაზე უნდა შემოგჩივლო შენ, ჩემო კეთილო მკითხველო, და ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა ისეთი, რომ ჩემი საჩივარი, იქნება, სჯათ ვადაიქცეს.

ჯერ ერთი გარემოება უნდა მოგაგონო, რომელიც შენ ხშირათ გაგონილი გექნება: ვაჭარ კაცს ან სოვდაგარს ჯიბე რომ გაუთხელდება, ის უფრო და უფრო ძვირფასი ტანისამოსის და გაწყობილების ჩაცმას იწყებს და თავის სახლს უწინდელზე უფრო მდიდრულათ აწყობს. გამოცდილი ვაჭრები ამ გვარათ მორთულ მოძმეს რომ დაინახვენ, მაშინვე ამბობენ—ეჰ, ეს გაკოტრების ნიშანიაო!

ცოტათი რომ მიიხედ მოიხედო და შენ ნაცნობებს თვალი გადაავლო, მკითხველო, მალე გაიხსენებ, რომ თავის დღეში ლაზათიანი და მართლათ მშვენიერი ქალი პირზე ფერ-უმარილს არ მიიკარებს, და ნამდვილათ მდიდარი კაცი—ოქროთ და ვერცხლით თავის ტანსაცმელს არ აჭრიალებს. იმათთვის ნამდვილი სიმდიდრე და ნამდვილი ლაზათი საკმაოა.—ამ ნაირ მაგალითებს რომ გაიხსენებდე, მალე მიხვდები, რომ საზოგადოთ გარეგან სიმშვენიერეზე, ლაზათზე და გაწყობილებაზე უფრო ის პირები ცდილობენ, რომელთაც ნამდვილი ლაზათი და ნამდვილი ძალა აკლიათ; და აქედან იმ საზოგადო კანონს გამოიყვან, რომ კაცის თვალში გარეგანი შნოს წადილი შინაგანი ღირსების მოკლებისდაგვარათ მატულობს.

+

ეს მარტო ტანსაცმელზე და ფერ-უმარილზე კი არ არის ნათქვამი. მწერლობაში, მაგალითად, კაცს რომ აზრები შემოელევა და ცხოვრების დაკვირვება, მისი ხასიათის გაცნობა გაუძნელდება, ის მაშინვე ძველი აზრის „ლამაზათ“ გადასხვაფერებას იწყებს, და მის ნაწერში გაგლესილი, დაბერებული ჭეშმარიტებაები ლაზათიანათ ჩაცმული უკბილო ბებრუხებსავით გამოდიან.—ადამისწლის აზრებში და ცხოვრებაში გაჩვეულ კაცს, რასაკვირველია, ყოველი ახალი აზრის გარკვევა და

ეხლა ამ ოქტომბერში საჭმელი ტყემალი, ვაშლი, ხეჭეჭური და სხ. ასხია. ამ დროს ხეხილების აყვავებამ *) აქაური მცხოვრებლები ძალიან შეაშინა და თავიანთ ცოდვებს აბრალებენ. ერთ აქაურ ხნიან დედაკაცს **) ვკითხე: გინახავს სადმე ამ დროს ხეხილების აყვავება, მეთქი? და ამან ისეთი ხვნეშით და ახალი დროების ყვედრებით მიპასუხა, როგორც ჩვეულებრივათ იციან ხოლმე მოხუცებულებმა: „ამოდენა ხნის დედაკაცი ვარ და ამ ამბავს თავის დღეში არ მოვსწრებივარ; უწინ ხალხი ღვთის-მოყვარული იყო, ერთმანეთი უყვარდათ, შვილო, და ამისთვის ღმერთი იმათ ყველაფერს უხვათ აძლევდა, ეხლა კი წახდა წუთი-სოფელი: დედა შვილს აღარ უყვარს, ძმა ძმას აღარ ინდობს, მარხვას აღარ ინახვენ; ერთი სიტყვით, საითაც გაიხედავ, ყველგან ცოდვის ლული ტრიალებს. ეს არის, ღმერთი სულ-გრძელი და მრავალთ მოწყალე არის, თორემ ან აქამდინ როგორ მოითმინა და არ წარღვნა წუთი სოფელი..“

ამას წინეთ ერთს აქაურს სოფლის მოსამართლესთან მქონდა ლაპარაკი და იმინ მითხრა, რომ ნაჩალნიკთან გავგზავნეთ ქაღალდი და ვთხოვეთო, რომ ეგება მთავრობამ შემწეობა მოგვცეს რამე, რომ სეტყვისაგან გაფუჭებული მამულების გამობრუნება და გაუმჯობესობა შევიძლოთო.

ამ გლეხისავე სიტყვით, ზოგიერთი აქაური მებატონეები სასტიკათ ეპყრობიან თავიანთ გლეხებს: ისინი არ დასდევენ თურმე იმას—რომ შეძლება აქვს გლეხს, თუ არა, რომ სეტყვამ, ან სხვა რამ უბედურებამ თითქმის წლის სარჩო წაართვა გლეხსა,—მებატონეები მაინც, ყოველ შემთხვევაში, თავისას თხოულობენო და ზოგიერთები კანონით დადებულზე მეტსაცაო ***). ჩემი დებულება არც დაისეტყვება და არც დაიწვისო, ასე ამბობენ თურმე ზოგიერთი მებატონეები. „იმათ ქვაცა აქვთ და კაკალიცაო,“ სთქვა ჩემმა მომუსაიფემ.

*) გლეხებს ჰგონიათ, რომ თუ ასეთ დროს რომელიმე ხე აყვავდა, ცუდ რასმეს მოასწავებსო.

**) ამ დედაკაცმა თქვა: გიორგი მეფე რომ გამეფდა, შვიდი წლისა ვიქნებოდიო.

***) ერთი სოფლის თავადიშვილი გლეხებისაგან ოცდა თორმეტ გირვანქიანი ჩანახით იღებს თურმე ღალას. თუ ამ ჩანახით არ მისცემენ, სახნავ მიწებს არ აძლევსო.

ოქტომბრის 13 ჭალელი

## ახალციხიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ამ თვის 13-ს ახალციხელებმა შესანიშნავი მოვლინება დავინახეთ: 7 საათი იქნებოდა, როცა ჩრდილოეთ-სამხრეთის მხრისაკენ ცა ალის ფრათ გამოჩნდა. პირველათ ჩვენ ვფიქრობდით, რომ უთუოთ ცეცხლი ეკიდება რასმე, მეთქი, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ შემცდარი ვიყავით: სამ საათს შემდეგ თითქმის ნახევარზე მოიფინა ცა ამ სისხლის ფერი სიწითლითა. მშვენიერი სანახავი იყო ეს გასისხლიანებული ცა!—შიგა და შიგ ვარსკვლავები მოკამკამებდენ და ჩაწკრიებული მოჩანდენ რაღაც მოთეთრო ვაება სვეტები. ამ ნაირათ დარჩა ცა შუაღამემდინ, მერე სინათლემ თან-და-თან იკლო და ნაშუაღამევის ორ საათზე სრულიად გაჰქრა; დარჩა ისევ მოწმენდილი, ვარსკვლავებით მოჭედილი ჩვენი ლაჟვარდი ცა.

მეორე დღეს, ვისაც არ ნახავდით, ყველა ამაზედ ლაპარაკობდენ.

— დიახ, მომხდარა მრავალი ამისთანა მოვლინებაო“, ამბობდა ერთ ადგილას მოხუცებული, თეთრ-წვერა კაცი, „იმ დროებში, როცა ომიანობა იყო ხოლმე, ხან მთვარე გამოჩნდებოდა სისხლის ფრათ, ხან დიდი უშველებელი ჯვარი, ხან კუდიანი ვარსკვლავები,—მარა მაშინ ომიანობა ახლოს იყო—ან თათრებში, ან ლეკებში, და გასაკვირველი არ იყო, რომ მათი სისხლი გამოჩენილიყო; ახლა კი სად ახალციხე და სად საფრანგეთი. ამასაც კი ამბობენ, გააგრძელა თეთრ-წვერამ, ახლანდელი ომიანობა მაშინდელს არ ჩამოგავს: ახლა თურმე ოცი ათას კაცს დაალაგებენ ერთ დღეს ომში; რა გასაკვირველია, რომ მათი სისხლი ცამდინ მიაწევს.

— შენი ჭირიმე, ხმა კი არა, სიცოცხლე როგორ შემრჩა, წასრულის ხმით ამბობს ერთი დედა-კაცი. ასე მგონია, მეორეთ მოსვლის წინ რომ ნათქვამია ცეცხლი წამოვაო, სწორეთ ის ცეცხლი წამოვიდა და ეს არის ჩვენთანაც მოაწევს. სულიც რათ შემრჩა, მიკვირს, იმის მნახველსა!

— არა, რომ თქვას კაცმა, ჰკითხულობს მესამე, რა უნდა ყოფილიყო?

— ღვთის რისხვა და ჩვენი ცოდვა, სხვა რა უნდა ყოფილიყოო; უპასუხებს იმას მემუსაიფე.

ბევრი ჰფიქრობდენ, იქნება მეორე დღესაც გამოჩნდესო, მაგრამ გუშინდელმა დღემ ისე გაიარა, არაფერი სხივი არა გვინახავს რა.

თქვენ იცით, რასაკვირველია, რომ ეს მოვლინება იყო „ჩრდილოეთის სხივი“, რომელიც ისე ხშირათ მოხდება ჩრდილოეთის ქვეყნებში...

ახალციხელი.

15 ოქტომბერს.

## ზუგდიდიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

მკითხველს ემახსოვრება, რომ „დროების“ № 37-ში უ. ბარნაბისშვილი სხვათა შორის იწერებოდა სამეგრელოდამ, რომ იქ ძალიან კარგი მოსავალი მოვიდაო. მოსავალს ის უწოდებს სიმინდსა და ღომს. ამ გვარმა ანბავმა არ შეიძლება არ მიიყვანოს გაკვირვებაში „დროების“ მკითხველი, ნამეტნავათ თუ ის იქმნება მეგრელთაგანი. კორრესპონდენტი სწერს, რომ სიმინდი და ღომი საზოგადოდ სამეგრელოში ბლომათ მოვიდაო, მაშინ როდესაც აგერ ღვინობის თვე გადის და მე ჯერ არ მინახავს, რომ ერთსაც ვისმე მუშაკთაგანს მოეკრიფოს ან სიმინდი და ან ღომი. ამას რა აბრკოლებს? აბრკოლებს ის, რომ 15-ს სექტემბრიდან აქამდის სულ ცუდი ტაროსები არის, ესე იგი წვიმა და ამის გამო ჯერ არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ კარგი მოსავალი მოვაო. ამ უკანასკნელი დროს წვიმიანობამ იმ ზომამდის შეაშინა მუშა-კაცები, რომ იგინი უიმედო არიან ნახევარი წლის სარჩოც მოიყვანონ, რადგან ჰფიქრობენ, რომ წვიმებისაგან სიმინდი და ღომი დალპებაო; მაშასადამე ჯერ მეგრელებს არ მოსვლიათ ნამუშაევერი, როგორც ამას ამტკიცებს უ. კორრესპონდენტი. შეიძლება იმ უეზდში (სენაკის უეზდში), საიდამაც ის იწერება ამ

ამბავს, კარგი ნამუშევარი მოსულიყოს, მ
მთელს სამეგრელოზე... რომელსაც მეო
სამი უეზდი: ზუგდიდის, სენაკის და ლ
მისა, ეს არ ითქმის. თუ რომ მისი სი
შეეხება მარტო სენაკის უეზდს, რომლი
თხეში ის თვითონ არის, მაშინ მთელს
გრელოს ის არ უნდა შეჰხებოდა. რაც
ბა ხეხილებს, რომლების წახდენა მოჰყა
კორრესპონდენტს „დროებაში“, მე თ
ვარ მასთან, მაგრამ სრულიად არა, ამ
რომ ზუგდიდის უეზდში წელს ბლომა
ვიდა ღელვი მაინც. ეს მე იქიდან ვიც
ყოველ პარასკევ-კვირაობით ბაზარში
ქონდათ მცხოვრებლებს გასასყიდათ
ხილი და განსაკუთრებით ღელვი; მა
რადგან აქ ხოლერის გაჩენის შიში გავარ
გამო პოლიცია არ აძლევდა მათ გაყიდ
ბას.—მეორე შესანიშნავი ანბავი გავიგე
ვე კორრესპონდენციისაგან: უფ. ბარნაბი
ლი იწერება, რომ, როცა სამეგრელოში
ნის იაფობა იყო, მაშინ მეგრელებს ვი
ჩვეულებათ ჰქონოდესთ ღვინით ხელების
ეს სრულიათ ასე არ არის. აი როგორ
დიდი ხანია რაც სამეგრელოში არსებობ
ულება, რომ ჭამის წინეთ ხელები უნდ
ბანონ, მაგრამ წყლით და არა ღვინით.
ცა ჭამად დასხდებიან და გათავებამდის
გარეშე პირი მოუსწრებს საჭმელს, რასა
ველია, მოიწვევენ და რადგან იმ ახალ
სრულმანაც უნდა გაიბანოს ხელები,
სუფრიდან სტაქანში ღვინოს და მიართ
სტუმარს, რომ თითები მაინც დაისვე
ამას შერებოდენ და ეხლაც შერებიან
ტომ, რომ, როცა საჭმელათ სხედან, რასა
ველია, წყალი სამზარეულოში დარჩება
ღვინო კი სტოლზე დგას; მაშასადამე ეს მო
ბა უფრო სიმარჯვისა და სტუმრის პატ
ცემისათვის, რომ სტუმარმა დიდი ხან
ულოდინოს წყლის მოტანას და მითი
მადა არ დაკარგოს. აი, თუ გნებავთ, ნამ
ლი ცნობა იმ გარემოებისა, რომელი
ბარნაბისშვილს მოჰყავს. მაგრამ უ. ბარნა
შვილი არ არის გასამტყუნებელი, ამ
რომ, როგორც მისი გვარი ამტკიცებს, ის
და იყოს იმერელი ანუ ქართველი და ამის
რასაკვირველია, იმას არ შეიძლო ნამდ
ცნობის შეკრება სამეგრელოს ჩვეულებ

გაცნობა უჭირდება: მის თვალში ყოველიფერი, რაც კი გარეგანი სახით უწინდელ საგნებს არა გავს—კარგი იყოს, გინდ ცუდი,—უშნო და ულაზათოა.

სწორეთ ამ რიგათ სჯიან დაბერებული „ტურფები“ ახალგაზდა მშვენიერი ქალების გაწყობილებას და ტანსაცმელს, თითქო ახალგაზდა ქალის გავლენა კაცის გულზე და ბედზე ტანისამოსის ლაზათზე იყოს დამოკიდებული...

+

ასე ყოფილა ყოველგან, და ასე იქნება ყოველთვის, რომ წრეზე გადასულ თაობას, როგორც წრეზე გადასულ კაცს, თვალის ძალა აკლდებადა. მაშინ მისი გამჭრიახობა გარეგან კანზე, გარეგან შნოზე ჩერდება; ის მაშინ ახალი თაობის ყოფაქცევას და აზრს მხოლოდ გარეგანი შნოს დაწუნებით თავიდან იგერებს და იძულებს.—ეს ბუნების კანონია, რომელსაც ჩემისთანა და შენისთანა კაცები ვერ შეცვლიან, ჩემო მკითხველო.

ეს ისეთი კანონია, რომ ყველა ქვეყნის ლიტერატურაში ყოველ ახალ მწერალს, ყოველ ახალ მიმართულებას ყველაზე უწინ „ენის“ და „გარეგანი ფორმის“ დაწუნება შეგებებია. ეხლა, რასაკვირველია, ყველა გადაიხარხარებს, როცა შეიტყობს, მაგალითად, რომ საფრანგეთში ვოლტერს, დიდროს, ბერანჟეს, ლამარტინს, ვიქტორ—ჰიუგოს, შორჟსანდს, ლუი-ბლანს, და სხვა გამოჩენილ მწერლებს—იმ მწერლებს რომელთაც ფრანცუზული ენა გაუმშვენიერებიათ და შეუმუშავებიათ, ენის უცოდინარობას და წახდენას აბრალებდენ. ვისაც გერმანიელ ლიტერატურაზე რამე გაუგონია ან წაუკითხავს, იმას ეცოდინება, რომ ამ ნაირივე ბრალს გერმანიაში ლესსინგს, გოტეს, შილლერს და ლეინეს ადებდენ. რუსეთში, ხომ, ლომონოსოვიდამ დაწყებული ანტონოვიჩამდი, ყოველ ახალი მიმართულების შემომღებ მწერალს ენის წახდენა დაბრალებია. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ პუშკინს—იმ პუშკინს, რომელსაც დღეს რუსები რუსული ენის და ლიტერატურის ამაღლებას და გამშვენიერებას უმადლიან—პუშკინს რუსული ენის უცოდნობას აბრალებდენ, აგრეთვე როგორც ლერმონტოვს, ბელინსკის, გოგოლს და სხვ.? ვინ აბრალებდა? შიშკოვი, აკსაკოვი (სერგეი), გრეჩი, ბულგარინი, სენკოვსკი. ვინ იყვენ ეს პირები? განათლების და წარმატების მტერები და უსამართლობის მომხრენი.

+

ჩვენში?—მართალია, ეს იმას ემსგავსება, რკუმ ფეხი რომ გამოყო და ნახირში გარევა მოინდომა, მაგრამ ჩვენი თავიც მოვიხსენოთ.—ჩვენში, ვის არ ახსოვს, რა ნაირათ მიიღეს 1861 თ. ილ. ჭავჭავაძის პირველი თხზულებაები? რა კიჟინა შექნეს ჩვენმა მწერლებმა ჭავჭავაძის „ენაზე“ და „ენის უცოდნობაზე“! რამდენი „შეცთომა“ უპოვეს იმის ენას! რამდენი ბრალი დაადვეს მის ლექსს!.. ვის არ ახსოვს, რა მხურვალე ცრემლები დაჰღვარა „ცისკრის“ დაცარიელებულ მინდვრებში გორისელმა წერეთელმა ექვთიმემ ქართული ენის წაბილწვაზე და შეურაცყოფაზე თ. ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში.—და ვისთვის არაა ეხლა ცხადი—ისე, როგორც დღე ღამეზე უფრო ნათელია—რომ ილ. ჭავჭავაძემ ქართულ ენას კი არა დააკლო რა, ბევრიც შესძინა?

+

ერთი სიტყვით, ყოველთვის და ყოველგან ენის წახდენაზე, გაუპატიურებაზე ვიხარო მათი და კიჟინი წრეზე გადასულ თაობას დაუწყია.—და კაი ბიჭს ვეტყვი იმას, ვინც რომელიმე ქვეყნის ლიტერატურაში ერთ კაცალს, მარტო ერთ მწერალს დამისახელებს, ახალი მიმართულებისას, რომელსაც ენის შნოსთვის და სილაზათისთვის ბრძოლა და ყაყანი აეტეხოს. ამ ნაირ მწერლებს, ყოველთვის და ყოველგან, სხვა, უფრო სასარგებლო და საჭირო საქმე ჰქონიათ:—თავიანთი საზოგადოების აზრის და მდგომარეობის გაუმჯობესობა...

+

ასე, ჩემო მკითხველო, დაე ყველამ სწეროს, როგორც ჭკუა და ენა უჭრიდეს. დაე იმერელმა იმერული სიტყვები იხმაროს და კახელმა—კახური სიტყვის წყობილება. შენ მათ ნაწერში ეცადე აზრი გაარკვიო, და—თუ აზრი შენი საზოგადოების და მამულის სასარგებლოთ იცნო,—ეცადე მისი შეთვისება და გავრცელება, ეცადე მისი „განხორციელება“. დამიჯერე, რომ იმ იმერელს, რომელიც „ა ხ ლ ა ს“ მაგიერ „ე ხ ლ ა ს“ ამბობს, იქნება ისეთივე ნამდვილი ქართული გული უცემდეს, როგორც „ნამდვილ“ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართლელს. დამიჯერე, კიდევ,
თუ ჩემ ან „დროების“ სტატიებში იმერ
სიტყვები და სიტყვის წყობილება გახში
ლია, ამ სიტყვებიდან—შემდეგში—მხო
ის დარჩება ქართულს ენას, რაც მისთვი
მოსადეგი და საჭირო იქნება. ყოველი
მდინარის არ იყოს, მხოლოდ იმას ითვისებ
იტოვებს, რაც მისთვის საჭიროა. დანარ
კი ყოველიფერი ძირისკენ მიდის და
თვალისგან სამუდამოთ სილის ქვეშ იფ
და იკარგება.

+

ეს ყოველიფერი სახეში უნდა გქონდეს
მო მკითხველო, სანამ ჩვენ ენაზე და
ზე სჯას დააწყებდე. მაშინ, შენი ყურად
ნაწერის აზრზე მიიქცევა, და თუ ღმე
ქნა და აზრი კარგი და ქვეყნისთვის სახ
გამოდგა, ენის და სიტყვის სიმშვენიერე
ნი ჭირი წაუღია. დაე მაშინ ამ საგანზე
წაღებულებმა იდაონ: ვინც ლაპარაკობს
ტო მისთვის, რომ ენა ექავება, ის, რასაკ
ველია, ცდილობს იმ რიგათ გააწყოს და
მოთქვას სიტყვები, რომ ენის ფხანვა მის
სასიამოვნოთ დარჩეს.

ის, რასაკვირველია, თავისდღეში ვერ
გებს, რომ სხვები სიტყვებს მარტო ენის
საფხანველათ როდი ხმარობენ.—

ნ. სკანდელი.

...ც კმარა მისგან რაც აქამდის გაუგია და ...თვისაც ყური უგდია. მაგრამ ისიც უნდა ...ქვათ, რომ კორრესპონდენტის საქმეა— ...ოს გაზეთში იმ გვარი ნამდვილი ცნობე-..., რომლებიც თვითონ მას შეუკრებავს, თო-...მ სხვის საშუალებით ცნობების შეკრებამ ...შეიძლება არ შეიყვანოს კორრესპონდენ-... შეცდომაში.—

ვ. აფაქიძე.

...ოქტომბერს. 1870 წ.

# რუსეთი

...მბირჟის უწყებების" სიტყვით, ჩვენი სამ-...ედრო სამინისტრო ზრუნავს ახლა იმაზე, ...რომ შემოიღოს ჯარში ისეთი დაწყობილება-...ბი, რომლის საშუალებით ნემცების ჯარი ...მარჯვებს ახლანდელ ომიანობაში. სხვათა ...მორის განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცე-...ია ამ სამინისტროს ჯარში განათლების გა-...ვრცელებისათვის: ყოველმა სალდათმა ჯერ ...პირველათ წერა-კითხვა უნდა ისწავლოს და ...შემდეგ სამხედრო სამსახურის წესებიო.

* *
*

...სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, ...ლტიის ფლოტის სალდათებს დაურიგდება ...ფ. ბარანოვისაგან მოგონილი მსწრაფლ-...სროლელი თოფები.

* *
*

...არშავში ძალიან ბევრი რუსული ქურქები ...(ლუფები) ისყიდება. როგორც ამბობენ, ...მცების ჯარისთვის ჰყიდულობენ, რომელ-...ც ზამთარი საფრანგეთში უნდა გაატაროს, ...მანამ ვერ აიღეს პარიჟი.

* *
*

...ოდესის კორრესპონდენტი ერთი რუსული ...ზეთისა იწერება, რომ 1 ოქტომბერიდამ ამ ...ლაქში თამბაქოსა და ღვინის გამოფენა გა-...ხსნილი თებაო, ე. ი. იმ ნივთებისა, რომლითაც ...ენი მხარე, კავკასიის გარდა, ყველა რუსე-...ს ადგილებზე უფრო მდიდარიაო. ამ გა-...მოფენაზე ღვინოს და თამბაქოს გარდა, ...ნება აგრეთვე გამოფენილი იქ დამზადე-...ლი: შაქარი, საპონი, სანთელი და სხვა ...ნივთებიო. ამ სხვა-და-სხვაფრივ გამოფენას ...მიზანი ექნება, რომ გააცნოს ქვეყანა ნო-...ვოროსიის ნაწარმოებ ნივთებს და მით მისცეს ...ა უფრო ადვილათ გასაღების საშუალება. ...ისეთ რამეებს ვამზადებთ ჩვენ, ამბობს ...კორრესპონდენტი, რომელნიც სამზღვარ-გა-...რედგან მოტანილებს არ ჩამოუდგება უკან, ...რამ, რადგან ჩვენებურ ნაწარმოებებს არ ...ნობენ მყიდველები, სამზღვარ გარეთის ნივ-...თებს უფრო ეტანებიანო. ამიტომაც ეს გა-...მოფენა ბევრ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ...ხელოსნებს და ხელოსნობასო.

# ომის ამბები

...ამ თვის 9, 10 და 11 ბრძოლის ველად ...ორლეანის ახლო-მახლო ადგილები ყოფილა ...თითქმის ყველგან ფრანცუზები დაუმარ-...ცხებიათ ნემცებსა, რომელთაც ბოლოს თვი-...თ ორლეანიც აუღიათ, ოქტომბრის 11-ს. ...ოქტომბრის 9-ს პატარა შეტაკება ჰქონიათ ...არტენვილთან, სადაც ბავარიის ქვევითა ჯარ-...ს და პრუსიის კავალერიას დაუმარცხებია ...ფრანცუზების ნაციონალური გვარდია და ასი-...ოდე მსროლელები დაუტყვევებია. 10-ს ...ფრანცუზებსა და ნემცებს შუა მომხდარა შე-...ტაკება არტენეს ახლოს, ორლეანიდამ ორი ...ვერსის სავალზე; თუმც ფრანცუზის ზუავებს ...ძალიან გაცხარებულათ უომნიათ, მაგრამ ...ნემცებს მაინც დაუმარცხებიათ ფრან-...ცუზები, ასე რომ, ბრძოლის გათავების შემ-...დეგ, ნემცებს 1500 ტყვე დაუთვლიათ და სა-...ზარბაზანიც წაურთმევიათ. ნემცები ამბო-...ბენ, რომ ამ ომში ჩვენი მხრით 110 კაცის ...მეტი არ მომკვდარაო. ფრანცუზები იმიტომ დახოცილან იმდენი, რომ ბავარიის კორპუსის ღენერალს—ტანს—საშინელი არტილერია წაუყენებია ველზე და ზარბაზნებით დაუზიანებია ფრანცუზები. ამის შემდეგ ღენერალი ტანი, თავის კორპუსით, პირ და პირ ორლეანისაკენ გაქანებულა, სადაც ფრანცუზებს მოუგროვებიათ მთელი ლუარის (სამხრეთის) არმია, რომელშიაც, როგორც ამბობენ, 40,000 კაცი იყო. ორლეანის დასაცველათ შეკრებილა 9-სა და 10-ს დამარცხებული ჯარი, აგრეთვე ბურჟიდამ და ტურიდამ მოსული პოლკები. ორლეანთან ექვსი საათის განმავლობაში იყო, 11 ოქტომბერს, გაცხარებული ომი და საღამოს გამარჯვება ნემცებისკენ დარჩა. ორლეანი აიღეს და ათასიოდ კაციც დაატყვევეს. ამ სამჯერ დამარცხების შემდეგ, სამხრეთის (ლუარის) ჯარი, რომლისაც დიდი იმედი ჰქონდათ ფრანცუზებს, ძალიან დაზიანებული და გულწამხდარი შეიქნა. ლუარის ჯარის დამარცხებამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ფრანცუზებს ამ ჟამათ არც ერთი ხეირიანი ღენერალი და ჯარის წინამძღომელი არა ჰყავთ. ორლეანთან ბრძოლის დროსაც, როგორც ადრე, ისე მოიქცნენ ფრაცუზის ღენერლები: იმათ გაჰყვეს რამდონიმე ნაწილათ ლუარის არმია და შეერთებულმა ტანის კორპუსმა ცალ-ცალკე დაამარცხა ყველა ისინი. უკაცობა ჰლუპავს ახლა საფრანგეთს.

— წინანდელ „დროების" ნომერში მკითხველი წაიკითხავდა ტელეგრამმას მეცის აღებაზე და 150,000 კაცის დატყვევებაზე. ეს ისეთი შესანიშნავი საქმეა, რომ, უეჭველია, დიდი გავლენა ექნება ახლანდელ ომზე. ვინ მოიფიქრებდა, რომ ბაზენი, რომელსაც 140,000 სალდათი ჰყავდა ხელ ქვევით, რომელიც თითქმის მიუდგომელს სიმაგრეში იყო და რომელსაც სურსათი და საომარი იარაღები, როგორც უკანასკნელი ამბებიდამ სჩანდა, საკმაოთა ჰქონდა, რომ ეს ბაზენი თავის ნებით დაუთმობდა მტერს მეცსა და ამოდენა შემწეობას მოაკლებდა საფრანგეთსა? მერე რა იმედი ჰქონდათ ფრანცუზებს მეცისა და რამდენი სარგებლობა მოჰქონდა საფრანგეთისთვის ამ სიმაგრის მარჯვეთ დახვედრას? თითქმის 200,000 ნემცების ჯარი იყო იქ მეცის ასაღებათ შეჩერებული და აუარებელი ზარბაზნები. ახლა მთელი ეს ჯარი, თავის საომარი იარაღებითა, უეჭველია, პარიჟისა და სხვა საფრანგეთის ქალაქების ასაღებათ წავა. გაზეთებში ბევრს სწერენ, რომ ბაზენს ნაპოლეონის მხარე ეჭირაო და იმის ხელმეორეთ ტახტზე ასვლის გასაადვილებლათ დაუთმო ნემცებს მეცი და ბრძოლას თავი დაანებაო.

— უმეტესი ნაწილი ნემცების ჯარისა სამ ადგილას არის მოყრილი პარიჟთან: სამხრეთით—ვანვრის და მონრუჟის ფორტების (სიმაგრეების) პირდაპირ, დასავლეთით—მონვალერიანთან და სენ-კლუსთან და ჩრდილოეთით—სენ-დენისთან. უეჭველია, ამ სამ ფორტში ჯერ ერთი და ერთი უნდა აიღონ ნემცებმა, სანამ თვითონ პარიჟის აღებას შეუდგებიან. ამ უკანასკნელ დროს ნემცებს სამხრეთისაკენ შეუგროვებიათ ბევრი ჯარი: იმედი აქვთ, რომ ვანვრისა და მონრუჟის აღება ისე საძნელო საქმე არ იქნებაო და შემდეგ, რადგან აქედამ პარიჟი ყველაზე ახლოს არის, თვითონ ქალაქსაც უფრო ადვილათ ავიღებთო. შეუტყვიათ თუ არა პარიჟში ეს ამბავი, იქიდამაც იმწამსვე სამხრეთისაკენ გაუგზავნიათ ჯარი.

— ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია ჰაერის ფოჩტით პარიჟიდამ მოსული წიგნები. ამ წიგნებიდამ ვტყობულობთ, რომ პარიჟელების მდგომარეობა ისე ცუდი და გაჭირვებული არ არის, როგორც ნემეცურს გაზეთებში სწერენ. არც ხორაგი და არც სხვა რამ აუცილებელათ საჭირო ნივთები ისე არ გაძვირებულა პარიჟში, რომ ღარიბებს არ შეეძლოსთ იმათი შეძენა; ძროხისა და ცხვრის ხორცს გარდა ყოველ ყასაბხანაში ისყიდება ახლა ცხენის და ვირის ხორცი, რომელიც, როგორც ამბობენ, ძროხის ხორცზე ნაკლები მარგებელი და გემრიელი არ არისო. ღვინო და პურიც იმდენია თურმე დამზადებული პარიჟში, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მაინც ეყოფათ იქაურ მცხოვრებლებს. ხალხს ძალიან იმედი აქვს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, იმათ ბედი გაუღიმებს, ისეთი იმედი აქვს თავის ჯარისა და სიმაგრეების. პარიჟელები ძალიან უკმაყოფილოთ არიან პროვინციებზე, რომელთაც, იმათი აზრით, რომ მოენდომებინათ, ადვილათ შეეძლოთ იმათი დახსნა და პარიჟის დაშველება. ამას გარდა პარიჟი მოუთმენელათ მოელის ზამთარს, რომელმანც ბევრი ზიანი უნდა მისცეს ქალაქის გარეთ დაბანაკებულს ნემცების ჯარსა.

— გარიბალდი და გამბეტა, რომელმანც დროებით სამხედრო მინისტრის მოვალეობა იკისრა, ვოგეზის მთებში წასულან. იმათა ჰსურთ იმდენათ გამაგრდნენ იქ და ისეთი წინააღმდეგობა გაუწიონ, ხალხისა და ჯარის შემწეობით, მტერსა, რომ იმას არ შეეძლოს ლიონისაკენ წასვლა.

— მარსელიდამ იწერებიან, იქაური ბანკირები და ვაჭრები ისე შეშინებული არიანო, რომ თავიანთ ფულებს და საქონელს სხვა ქვეყნებში გზავნიანო.

— პარიჟში გავარდა ხმა, რომ დროებით მმართებლობასა და ნემცებს შუა საიდუმლო მოლაპარაკება არის მორიგებაზეო; მაგრამ ფრანცუზები არას გზით არ დათანხმდებიან იმ პირობებით მორიგებაზე, როგორც ბისმარკს ჰსურს: საფრანგეთის ხალხი ვერ მოითმენს, რომ იმას ელზასი და ლოტარინგია წაართვან და უამისოთ, როგორც სჩანს, ნემცები მორიგებას არ აპირებენ.

— გამბეტას და ესპანიის რესპუბლიკელს, კასტელიარს, რომელიც საფრანგეთის დასახმარებლათ მოვიდა ტურში, უთქვამთ პრეფექტურის ბალკონიდამ შემდეგი სიტყვა თავ-მოყრილი ხალხისათვის და ჯარისათვის.

„მოქალაქენო, სთქვა პირველათ გამბეტამ, სანამ აქ მოვიდოდი, მე გამოვაცხადე—თუ რის გაკეთება მაქვს მე მონდობილი დროებითი მმართებლობისაგან. მოკლე ხანში თქვენ შეიტყობთ, რის გაკეთებას და რა განკარგულებების მოხდენას ვაპირებთ ჩვენ. გმადლობთ თანაგრძნობით მიღებისათვის, მაგრამ, ისიც უნდა გითხრათ, რომ ახლა მანიფესტაციების დრო არ არის. მე მოვედი აქ სამუშაოთ, საქმის საკეთებლათ და შეუწყნარებლივ, ერთი წამის დაუკარგავათ, უნდა ვიმუშავო. ყველა თქვენგანმა მოჰკიდეთ ხელი თავის საქმეს და მამული დაცული იქნება. გაუმარჯოს რესპუბლიკას!"

აი, კასტელიარის სიტყვა: „გმადლობთ ძმურათ მიღებისათვის. როგორც თქვენ, ისე მეც ნამდვილი რესპუბლიკელები ვართ; ჩვენ კიდევ ვნახავთ გამარჯვებულ საფრანგეთს; როგორც 1792 წელსა, ის მოერევა ფეოდალებს, კოროლებს და მათ შთამომავლობას. როცა ჩვენ პრუსიელებს გავდევნით რეინის გაღმა, მერე ვიდღესასწაულებთ საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადებას, იმ რესპუბლიკისა, რომელიც საერთო თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას წარმოგვიდგენს. მარტო რესპუბლიკას შეუძლია მშვიდობიანობა დასთესოს თქვენში; ბონაპარტიელები და ტირანები კი მუდამ ომიანობას სტეხენ გარეშე სახელმწიფოებთან და შ-გ. თვითონ საფრანგეთში—მუდამ განხეთქილებასა და არეულობას. გაუმარჯოს საფრანგეთის რესპუბლიკას! როცა ჩვენ გავდევნით პრუსიელებს—ესპანია, იტალია და პორტუგალია ძმურათ შეუერთდებიან საფრანგეთსა და იქნებიან ნამდვილნი წარმომადგენელნი ძმობის, ერთობის და თავისუფლებისა. გაუმარჯოს ლათინური ტომის რესპუბლიკებს!"

— კასტელიარს გარდა, ბევრი რესპუბლიკელები მოსულან კიდევ ტურში ესპანიიდამ და პორტუგალიიდამ საფრანგეთის დასახმარებლათ. გამოჩენილი დეპუტატი ესპანიის კორტესებისა—ორენზე—ცალკე ჯარს არდგენს ამ ქვეყნებიდამ გამოსული ვოლონტერებისაგან. ამერიკიდამაც მოსულა ერთი ბატალიონი ვოლონტერები, აგრეთვე რუმინიიდამაც.

— ოთხ ოქტომბერს ნემცების ჯარს, მეკლენბურღის გერცოგის წინამძღომლობით, აუღია ქალაქი სუასონი, რომელიც ლაონსა და პარიჟს შუა არის, რკინის გზის ახლოს, აღმოსავლეთისაკენ. კაპიტულაციის ძალით, 4,000 კაცი დაუტყვევებიათ ნემცებს და 132 ზარბაზანი ჩამოურთმევიათ ფრანცუზებისათვის.

— ერთ ნემეცურ გაზეთში სწერენ: „პარიჟის სამხრეთზე, შამბულიესა და შარტრის ტყეებში შეუფარავეთ თავი რამდონსამე ასს დაიარაღებულ ფრანცუზებს, რომელნიც მუდამ გამოდიან იქიდამ და არ ასვენებენ ნემცების ჯარსაო: გამოხტებიან ტყიდამ, დაუშენენ ჩვენ ჯარს თოფებსა და ისევ ტყეში შესცვივიან ხოლმეო. თუმცა პრუსიის მთავარმა კვარტირამ, რომელიც განაგებს ომიანობის საქმეს, გამოაცხადა, რომ, ვინც დაიჭიროთ ამ ტყეებიდამ გამოსული „თავისუფალი მსროლელები", იმ წამსვე დახვრიტეთ, თუ იმათ სამხედრო მუნდირი არ აცვიათო, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან და მუდამ დიდ ზიანს აძლევენ ნემცების ჯარს".

— ამას წინეთ 15 წლის ყმაწვილის სიმამაცეს აღტაცებაში მოუყვანია პარიჟელები: ეს ყმაწვილი პარიჟის გარეთ ყოფილა და სადღაც მინდორში უნახავს პრუსიის სალდათის თოფი და საფირწამლე. ამ თოფით იმას მოუკლავს ერთი პრუსიელი სალდათი, ჩაუცვამს იმის მუნდირი, დაუხურავს თავზე იმის წვეტიანი კასკა და ამ ნაირათ შემოსულა ქალაქში.

— ერთს პარიჟის გაზეთში, რომელიც 7 ოქტომბერს ჰაერის ფოჩტით მოსულა ლილში, შემდეგ ამბავს იწერებიან: „გუშინ, დილის 11 საათზე, ფლურანსი, 10,000 დაიარაღებული ნაციონალური გვარდიის ჯარით, მივიდა რატუშაში. მმართებლობის პირებმა: ტროშუმ, გამბეტამ, ჟულ—ფერიმ და ეტიენ არაგომ მიიღეს ის მოსალაპარაკებლათ. ნაციონალური გვარდია და იმის წინამძღომელი—ფლურანსი—თხოულობდენ, რომ ნაციონალური გვარდიისათვის შასპოს თოფები დაერიგებათ, ამოერჩიათ პარიჟის კომუნა და ბოლოს, როგორც ფლურანსმა სთქვა, მიეტოვებინათ უწინდელი ომიანობის ტაქტიკა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ერთ ფრანცუზს შვიდ ნემეცთან მიუშვებდენ საბრძოლველათა. დიდ ხანს ჰქონდათ გაცხარებული ბაასი ამ ახალგაზდა დემოკრატიული პარტიის წინამძღომელსა და მმართებლობის პირებს. ამის შემდეგ ფლურანსმა დაანება თავი თავის თანამდებობას. მაგრამ ამით არ გათავებულა კიდევ საქმე; საღამოს 8 საათიდამ 11-მდი მმართებლობის მოწინააღმდეგე პირები, 3,000 კაცამდი, შეიკრიბნენ ერთ სახლში, სადაც ლედრიუ-როლენი გაცხარებული სიტყვით მოიწვევდა მოქალაქეებს, რომ იმათ მოეთხოვათ მმართებლობისთვის პარიჟის კომუნის შერდგენა და იმისთვის გადაცემა მმართებლობის უფლებისა. ლედრიუ-როლენს გარდა, სხვა ორატორებმაც ილაპარაკეს. სხვათა შორის ერთი ბელგიელი და ერთიც პოლშელი უჩიოდა დროებით მმართებლობას, რომ იმათ არ აძლევენ ნებას საფრანგეთის რესპუბლიკას დაეხმარონ ამ გაჭირვებაში. კრებას არაფერი გადაწყვეტილება არ მიუღია.—

— „ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია, რომ ფლურანს როშფორი მიეწვია, შეერთებოდა იმას და თავი დაანებებინა ახლანდელი მმართებლობისათვის, მაგრამ როშფორმა უპასუხა თურმე, მე მაშინ დაუბრუნდები ჩემ ძველ პარტიას, როცა პრუსიელებს გავდევნით

საფრანგეთიდგანო. ახლანდელი მმართებლობის პირები, რასაკვირველია, ჰკიცხავენ იმათ, ვინც ამისთანა დროს არეულობას და უთანხმოებას სთესენ თვითონ პარიჟში. ერთის მხრით ამისთანა არეულობაზე სწერენ გაზეთებში და მეორეს მხრითო:

პარიჟის კორრესპონდენტი გაზეთის „ტაიმსისა“ იწერება, რომ ახლანდელისთანა მშვიდობიანი და დაწყნარებული ცხოვრება პარიჟში ჯერ კაცს არ უნახავსო. იქ, სადაც ომიანობამდი მთელ ღამეებს განცხრომითა და ქეიფში ატარებდნენ მცხოვრებლები, ახლა საღამოს ათ საათზე კაცთ ხმას ვერ გაიგონებსო.

ყველგან ნაციონალური გვარდიის, ლინიისა, ან სხვა რომელიმე პოლკების სალდათებს და აფიცრებს ხედავ თურმე. საღამოობით აფიცრები იყრიან თავს ყავახანებში და სასტუმროებში და გაუწყნარებელი მუსაიფი და ბაასი აქვთ საფრანგეთის მდგომარეობაზე; განსაკუთრებით აწუხებს ყველას ის, რომ პროვინციებიდგან ძალიან იშვიათად მოსდის პარიჟში ახალი ამბები. ათის ნახევარზე ყველა ყავახანებში და სასტუმროებში სანთლებს აქრობენ და თერთმეტზე აფხოტის მეტი არავინ დაიარება ქუჩებში. სადაც კი თავისუფალი ადგილი, ბაღები ან მაედნები მოინახება სადმე პარიჟში, ყველგან ხის კარვებია თურმე გაშენებული სალდათებისთვის, რომელნიც მთელდღეს სამხედრო ვარჯიშობაში ატარებენ. ტუილრის ბაღში კავალერია დგას თურმე და თვითონ ტუილრის (სახელმწიფო) სასახლე კი ღოსპიტლათ გადაუქცევიათ. ერთი სიტყვით, ისეთ კუთხეს, ისეთ უბრალო ქუჩას ვერ მონახავ პარიჟში, რომ თავგაწირულ საომრათ მზადება არ ეტყობოდეს.

—ფრანცუზულ გაზეთებში დაბეჭდილია პრინცი ჟუანვილისა და გრაფ შამბორის წიგნები, რომლებშიაც ისინი თავის თანაგრძნობას და გულმტკივნეულებას უცხადებენ საფრანგეთის ახლანდელ მდგომარეობას. ჟუანვილის პრინცი (ორლეანი, ლუი-ფილიპეს შვილი) ამბობს, რომ ჩემი ცდა ის იქნებაო, რომ „პატიოსანი“ მმართებლობა დამკვიდრდეს საფრანგეთშიო, და გრაფ შამბორი კი (ბურბონი, კარლო მეათესშვილისშვილი) საფრანგეთის ხალხის ბედნიერებას ზნეობითი და რელიგიური მხრის გაუმჯობესობიდამ მოელის; ეს უკანასკნელი ამასთანავე უმატებს კიდევ, რომ საფრანგეთის ხალხი მონარხიული, ხელმწიფის მოყვარე ხალხიაო და რესპუბლიკური მმართებლობა იქ არასოდეს არ დამკვიდრდებაო. რასაკვირველია, ერთსაც და მეორესაც მხოლოთ თავიანთი თავი და თავის დინასტია აქვთ სახეში, როცა თანაგრძნობას უცხადებენ საფრანგეთსა.—

— ამ დღეებში პარიჟში დაასაფლავეს ორლეანთან ომის დროს მოკლული ღენერალი— ბილიომი. იმის საფლავზე ტროშუმ სთქვა მოკლე, მაგრამ მშვენიერი სიტყვა: „ამ ჟამად სიკვდილის შეხედვამ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ. ყველანი მზათ უნდა ვიყვნეთ სასიკვდილოთ და, უეჭველია, ბევრი ჩვენგანი ისე მოკვდება, როგორც ჩვენ წინ მდებარი გვამი. ამ კუბოს წინ ფრაზებს ვერ წარმოვსთქვამ; ვიტყვი მხოლოთ, რომ ღენერალმა ბილიომმა პატიოსნურათ გაატარა თავის სიცოცხლე, კარგათ ებრძოლა მტერსა და ღირსეულათ მოკვდა. ნუ დაივიწყებთ იმას!“

— გამბეტას დაუტუსაღებია ყველა წევრები ქ. დრეს მუნიციპალიტეტისა. ამ შერცხვენილ ჩინოვნიკებს არათუ არ მოუნახავთ რამე ღონისძიება თავის ქალაქის დაცვისთვის, პირდაპირ თავათ მიუგზავნიათ კაცები პრუსიელებისთვის და შეუტყობინებიათ რომ ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევენ ნემცების ჯარსა. გამბეტამ მოახდინა განკარგულება, რომ ეს ჩინოვნიკები განსამართებლათ მოეყვანათ ტურში და ციხეში ჩაესვათ.

## გერმანია

— ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია ლაპარაკი, რომელიც ჰქონდათ ნაპოლეონსა და პრუსსიის კოროლს—ვილჰელმს, სედანის კაპიტულაციისა და ნაპოლეონის დატყვევების, შემდეგ, როცა ეს ორი ხელმწიფეები შეყრილან. პირველათ დაუწყია ლაპარაკი ვ ი ლ ჰ ე ლ მ ს: „ძალიან ვწუხვარო, უთქვამს იმას, რომ ამისთანა მდგომარეობაში ვხედავ თქვენ უდიდებულესობას; მაგრამ იმით ვანუგეშებ ჩემ თავს, რომ ომიანობის დაწყება ჩემი ბრალი არ არის. —ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. არც ჩემი ბრალია.— ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი. განა ეს ომი თქვენი მმართებლობის ბრალი არ არის, რომლის ნდობა თქვენ ყოველთვის გქონდათ?—ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. დიახ, მაგრამ საზოგადოებაც თხოულობდა..—ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი. ახლა კი დროა გავათავოთ ეს ომი, რომელმანც, არა მგონია, ხეირი მისცეს საფრანგეთს.—ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. მე არა მჯერა, რომ ფრანცუზებმა აჯობონ ნემცებს. პრუსიელები თადარიგიანობითა და სიმაგრით სჯობიან ფრანცუზებს. — ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი. აი, ამისთვისაც თქვენ უნდა ეცადოთ, რომ ბოლო მოუღოთ ამ საუბედურო ომიანობას. — ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. ახლანდელ მდგომარეობაში მე არ მექნება არავითარი გავლენა ამ საქმის გადაწყვეტაში. ამ საქმის გადაწყვეტა მხოლოთ რეგენტობას შეუძლია, რომელიც პარიჟშია.—ვ ი ლ ჰ ე ლ მ ი (მოუთმენლათ) მე დაგინიშნეთ თქვენ საცხოვრებლათ ვილჰელმსჰოჰე, სადაც ერთ დროს თქვენი ბიძაც სცხოვრებდა.—ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი (თვალებიდამ ცრემლებს იწმენდს). მე მუდამ მადლობელი ვიქნები თქვენი უდიდებულესობისა ამ შეწყნარებისა და პატივსცემისათვის. ორმა ხელმწიფემ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და ამითი გათავდა მუსაიფი.

## ინგლისი

როგორც სჩანს, ინგლისელები ძალიან თანაუგრძნობენ საფრანგეთსა: დღემდი ინგლისის მმართებლობას სულაც არ უნდოდა გარეულიყო საფრანგეთის და პრუსიის განხეთქილების საქმეში; მაგრამ ცალკე გაზეთებმა და ცალკე მიტინგებმა იქამდინ მიიყვანეს ის, რომ ახლა, როგორც დეპეშებიდამა ეტყობილობთ, ინგლისის მმართებლობას მიუცია წინადადება მეომარი მხარეებისთვის, რომ დროთი მორიგდითო. ინგლისის ხალხს კარგი საშუალება აქვს თავის აზრი შეატყობინოს მმართებლობას: გაზეთებს გარდა, მიტინგზე დადებული გადაწყვეტილებები ცხადათ აცნობებენ მმართებლობას, თუ რა უნდა ჰქნას იმან და რომელი განკარგულება უნდა მოახდინოს. ამ ომიანობის დროსაც ხალხმა აჩვენა მმართებლობას, თუ რა უნდა ექნა იმას. ამასწინეთ ერთ სასტუმროში ყოფილა მიტინგი მუშების ასოციაციისა, რომელზედაც აუარებელი ხალხი დასწრებია და რომელზედაც გადაუწყვეტიათ, რომ წინადადება მივცეთ ჩვენ მმართებლობას, ეცადოს ამ ომიანობის ბოლოს მიღებასაო. მიტინგის პრეზიდენტმა მერიმენმა—წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იმან გამოსთქვა, რომ, სედანთან ბრძოლის შემდეგ, პრუსიას უნდა დაენებებინა თავი ომიანობისთვის, თუ იმას საფრანგეთის დამცირება არა აქვს სახეში. აი რა სიტყვებით წარმოსთქვა ორატორმა მიტინგის პროგრამმა და გადაწყვეტილება: „ინგლისის მმართებლობამ უნდა აღიაროს საფრანგეთის რესპუბლიკა. იმან უნდა განუცხადოს პრუსიას უკმაყოფილება, ამისთვის რომ ამ უკანასკნელ სახელმწიფოს ჰსურს საფრანგეთის დამცირება; თუ პრუსია არ დაუჯერებს ჩვენ მმართებლობას და არ დაანებებს თავს ომიანობასა, მაშინ ინგლისმა და საფრანგეთმა უნდა შეჰკრან კავშირი და ერთად იმოქმედონ პრუსიის წინააღმდეგ. მმართებლობამ ახლავე უნდა მოიწვიოს პარლამენტი, ხალხის აზრის შესატყობელათ.“ ეს გადაწყვეტილება (რეზოლიუცია) მიიღო მთელმა მიტინგმა.

## ამერიკის შეერთებული შტატები

რესპუბლიკის პრეზიდენტმა—გრანტმა—გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: „12 ოქტომბრიდამ დაწყებული ომიანობის გათავებამდინ საფრანგეთისა და გერმანიის სამხედრო ხომალდებს აეკრძალებათ ამერიკის ზღვებში და პორტებში ყოველი საომარი იარაღების დამზადება და ევროპაში წაღება. სურსათი იმათ შეუძლიანთ მხოლოთ იმდენი წაიღონ, რამდენიც გზაზედ ეყოფათ და ქვის ნახშირიც პირველ პორტამდი სამყოფი. ჩვენი სახელმწიფოს ნეიტრალიური მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ ამისთანა განკარგულება მოვახდინოთ.

## იტალია

იტალიის მმართებლობას ბერლინიდამ მოუვიდა ნოტა, რომელშიაც პრუსიის მმართებლობა ჰკითხავდა იმას გარიბალდის საფრანგეთში წასვლის თაობაზე. იტალიის გარეშე საქმეების მინისტრმა უპასუხა პრუსიას, რომ შეძლებისა დაგვარათ იტალიის მმართებლობა უყარაულებდა გარიბალდის; მაგრამ, რადგან ის არმიაში არ არის ჩარიცხული, და სრულებით კერძო კაცია, მმართებლობას, კანონის ძალით, არ შეეძლო, რომ სრულებით გზა შეეკრა იმისთვის და არ გაეშვა, სადაც უნდოდაო.

— რომის პაპი აცხადებს, რომ, რადგანაც იტალიის ჯარებმა რომი დაიკავეს და ჩვენც თავისუფლება წაგვართვეს, ამის გამო მსოფლიო კრების მოქმედება დროებით შეჩერებული იქნებაო.

# ნარევი

საფრანგეთის ახალმა მმართებლობამ ნაპოლეონისეული ქაღალდები რომ იპოვა და დაბეჭდინა, იმ ქაღალდებში სხვათა შორის ერთი შესანიშნავი წერილი ურევია, რომელსაც ჩვენ ფრანცუზული გაზეთიდგან ვთარგმნით. ეს წერილი ა შ ი ლ მ ი უ რ ა ს (ან როგორც ჩვენში შეცთომით ამბობენ—მ ი უ რ ა ტ ი ს) თხოვნაა, რომელიც ამ ახალგაზდა პრინცს ნაპოლეონისთვის მიურთმევია, ჩვენი ქვეყნიდან დაბრუნების შემდგომ. პირველი ფრაზების შემდგომ, ის აი რა რიგათ ევედრება საფრანგეთის მყოფ იმპერატორს:

„რვა თვის კავკასიაში ყოფნის შემდგომ, მე დავბრუნდი აფრიკაში სამსახურებლათ, იმ პოლკში, რომელშიაც თქვენ დიდებულებას, ჩემი ძმის თხოვნით, ჩემი ჩარიცხვა უნებებია. მე იმედი მქონდა, რომ მინამ მე კავკასიაში ვიყავი, აქ ჩემ საქმეებს იმ რიგათ გააწყობდენ, რომ მე შემძლებოდა ხელ-ახლავ სამსახურში შესვლა და ჩემი ყოფა-ქცევით თქვენი დიდებულების აზრში წარსული ჩემი შეცთომების ამოხოცვა.

„საუბედუროთ, ხელმწიფევ, ჩემ სამწუხარო მდგომარეობაში სრულიად, ან თითქმის სრულიად, არაფერი ცვლილება არ მომხდარა. აქამომდი, დანიშნული ფულებით, ის ვალებიც ვერ გადამიხდია, რომელიც პატიოსანი სიტყვით ანაღები მქონდა, და რომელზედაც დამოკიდებულია ჩემი გვარის ღირსება. ამის გამო ყოველი შეწუხება და ბიაბრუობა (სკანდალი), რომელიც მე პარიჟიდან წასვლამდი მსდევდა, მსდევს ეხლაც. აფრიკაშიაც, როგორც პარიჟში, ჩემი ყოფნა მოვალეების ბრაზს გაალვიძებს. მე მიჩივლიან, მსდევნიან, ქონებას ამიწერენ და ყოველ დღე მოუსვენარათ, მუქარით ვალის გადახდას მომთხოვენ; ამას, უეჭველია, ჩვენი მტრები ხელს წაავლებენ, და თქვენი დიდებულება საკმაოთ სამართლიანი ბრძანდება, რომ ისურვოს ჩემგან ამ ჩაირ მდგომარეობაში პოლკში წასვლა, სადაც შეურაცხყოფა, რომელიც მე მსდევს, ძლიერ მალე მომაკლებს პატივს ჩემი ამხანაგების მხრით, და სრულიად გამიჭირავებს მათ შუა ცხოვრებას და სამსახურს.

„მე ვერ ვბედავ შევევედრო თქვენ დიდებულებას, რომ ნება მომეცეს თქვენ წინ რამდენიმე სიტყვით წარმოვადგინო ნამდვილი ჩემი მდგომარეობა და მისი სიძნელის მომსპობელი საშუალებაები, რადგანც თქვენი დიდებულებისთვის—არ ვიცი რა მიზნით—გადასხვაფერებულათ წარმოუდგენიათ ჩემი მდგომარეობა. მაგრამ ვევედრები თქვენ დიდებულებას, იფიქროთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ყველაზე უფრო იმას ვცდილობ, რომ თქვენი დიდებულების ყურადღება დავიმსახურო, და ამ მიზნის მისაწევათ მე მზათა ვარ ვქნა ყველაფერი, რაც კი ჩემ შეძლებაშია.

„თქვენი დიდებულების ყოვლად-მორჩილი დის-წული და ქვეშევრდომი

„ა შ ი ლ მ ი უ რ ა.“

ამ წიგნზე ნაპოლეონის ხელით კარანდაშით დაწერილია: „უარი. იმპერატორს ამ ნაირ საქმეებში გარევა არა სურს.“

* * *

ინგლისურს გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია ბერლინიდამ მოსული ცნობა, რომ ნემცებს საფრანგეთში 20 სოფელი სრულებით დაუწვავთ და 150 გლეხი ფრანცუზი დაუხვრეტიათ იმათი ჯარის წინააღმდეგობისათვის.

* * *

ერთ ნემეცურ გაზეთში სწერენ, რომ ნემცები სრულებით დამზადებული არიან პარიჟის ასაღებათო. სხვათა შორის ამ ხანებში იქ მიუზიდავთ აუარებელი საშინელი დიდი ზარბაზნები. ამ ზარბაზნების სიდ[illegible] წარმოდგენა მაშინ შეუძლია [illegible], როცა ვეტ[illegible] რომ იმათში ჩადის ისეთ[illegible] ფუთ ნახევარ თოფის წამალს ჰყრიან. ამის[illegible] ყუმბარაში პატარა ტანის კაცს მუხლების მოკეცვ[illegible] გათ შეუძლია თურმე.—

* * *

მტრედის ფოჩტით მოტანილმა წიგნმა შემდეგი ბავი მოიტანა ბრუსსელში, რომელიც ერთ იქაურ ზეთში არის დაბეჭდილი: „30 სექტემბერს აერო ტების ზედამხედველი, უფ. ნადარი, მოვიდა აერო ტით პარიჟში, მაგრამ მოგზაურობის დროს ბევრი საცდელი გამოიარა და ლამის თავიც წააგო: დ 6 საათზე ის ჩაჯდა აეროსტატში და გაფრინდა მ ტურიდამ; 11 საათზე ის დაინახეს ცაში 1,500 ჟენის სიმაღლეზე, პარიჟის ახლოს. ამდროსვე სა ლაც ცაში გამოჩნდა მეორე აეროსტატი, რომელიც და თან უახლოვდებოდა ნადარის აეროსტატსა. ნა და პარიჟიდამ მაყურებლებს ეგონათ, რომ მეორე როსტატი ფრანცუზების იყო და ალტაცებით ჰყვირ ნენ: „გაუმარჯოსო“. ნადარმა საფრანგეთის ნაცი ლიური დროშა გამოიფინა თავის აეროსტატის ნავ მაგრამ მიუახლოვდა თუარა ეს აეროსტატი, თოფის გავარდა. ძირიდამ დაინახეს, რომ ნადარი იმწ ავიდა თოკით თავის აეროსტატზე და ჯურტუმალებს უწყო კეთება, რომ გაზი არ გასულიყო და არ ჩ ვარდნილიყო ძირს. მაშინ კი ყველა დარწმუ რომ მეორე აეროსტატი ნემცებისა იყო და ნადა ჩამოგდება უნდოდა. ნადარის აეროსტატი თან და იწევდა ძირს, ასე რომ თითქმის მიწას მიუახლო მაგრამ მაშინ ნადარმა გადმოჰყარა რაც მძიმე რამ ჰ და ნავზე და აეროსტატი ისევ საშინელის სიჩქ ავიდა ზევით. გაუსწორდა თუარა ნადარი ნემცების როსტატს, დაუშინა თოფები და ცოტა ხანს შ დახვრეტილი ნემცების აეროსტატი დაეცა ძირს. იმ ვე მივარდნენ პრუსიის ულანები და წაიღეს ბანაკისაკენ. ნადარი ჩამოეშვა შარანტონთან და პარიჟში არის.“

* * *

წასულ კვირას, თფილისში, ვორონცოვის ხ ერთ მუშას გაედვა ზურგზე კუბო და კუკიისაკენ ქონდა. შუა ხიდზე რომ მოაწია, მუშას რაღაც შემოესმა კუბოდამ, თითქო ვიღაც ინძრევა შიგ ვინ იცის რა წარმოიდგინა საწყალმა მუშამ, როდ ცარიელ ყუთში რახუნი გაიგონა? მაყურებლებმა თხრეს, რომ ერთი შიშის ხმით დაიყვირა მუშამ „ ველეთო!“ გააგდო ხელიდამ კუბო და თვითონაც იქცაო. ყველას ეგონა, რომ მუშას ხოლერა ეცაო, დროს ხიდზე გამოიარა ერთმა ექიმმა, დაჰხედა მ მაგრამ ვერაფერი ნიშანი ხოლერისა ვერ შეამჩნია. ალეს კუბო და ნახეს, რომ შიგ იწვა ცოცხალი.. მოიდგინეთ, ამ კაცს შეშინება სდომებიაო მუშისა! რებული ხუმრობა იციან ზოგიერთებმა...

* * *

კუბოზე ჩამოვარდა ლაპარაკი და ერთ ამბავს მოგახსენებთ იმაზე. გამოჩენილი მელხიორის ნივ მკეთებელი ალექსანდრე კაჩი—შემდეგ განცხა ჰბეჭდავს პეტერბურღის გაზეთებში: „ვისაც სიკვ შემდეგ, კარგათ, სითარხნითა და თავისუფლათ ნება ჰსურს, მიჰმართეთ ნევის პროსპექტზე ალ დრე კაჩს, რომელიც მშვენიერს მელხიორის კუ აკეთებს.“

* * *

დიდი ხოლერობის დროს ეს ლოცვა იყო გავრცელებული ხალხში და ამით ეგონათ ავათმ ბის მორჩენა:

„სახელითა ღვთისათა და იოვანე ნათლისმცემ თა, ესე სითარხნის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცი დიდთა სულთაგონე მკითხავებმან: ანმან, ბანმან ყურბა გიშერამან და წარბიამან, სადაცა შემოგეყარნეთ, თ თან კარგი კაცობის მეტი ხელი არა გვქონდეს რა. უბრძანებია, ყურბანას დაუწერია, გიშერას ჩაურთავს და მეც მოწამე ვარ. ამინ. უფალო, ამ საშინელის სენისაგან შენი ნინო.“

იმ ქაღალდის ნაჭერზე, რომელზედაც დაწ გადმოგვცეს ჩვენ ეს ლოცვა, იქითა და აქეთ ს ჯვარი უზის.

ჩვენი მკითხველების იმედი გვაქვს, ახლანდელ ლერობაში არ გამოიყენებენ ამ უაზრო შელოც

* * *

ერთ სოფლის სასამართლოს რუსეთში შემდ ლალდი გაუგზავნია თავის მომრიგე მოშუამდგო თვის:

„მისს მაღალ კეთილშობილებას, ქსანდროვის უეზდის მეხუთე განყოფ მომრიგე მოშუამდგომლეს.

შესანიშნავი კუდიანი ვარსკვლავის ვლინებაზე. მიხაილოვის სოფლის სა თლოს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა.

„ამ თვის, 31 რიცხვს, საღამოს 8 საათზე ლოეთით სამხრეთისაკენ ცაზედ გამოჩნდა ცე ზოლი, რომელიც რაღაც რგვალ ვარსკვლავ დევდა უკან. მიუახლოვდა თუ არა მზის სხივ რგვალი ვარსკვლავი, ჩვენ შამოგვესმა ისეთი ქუ რომ დედა— მიწა დაინძრა, მაგრამ სოფელს კი ა რი უბედურება არ დამართნია. სოფლის სასამა ვალდებულათ რაცხს მოგახსენოს თქვენ ამისთანა ჩვეულებრივ მოვლინებაზე, თქვენდა საცნობელ ჯეროვანი განკარგულების მოსახდენათ.“

* * *